



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27. 27230253

თარიღი:25/01/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 05

25 იანვარი 2023 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი სპორტულ-
ახალგაზრდული პროგრამა

№	დასახელება	აღწერა	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	სპორტული ღონისძიებების/ინიციატივების მხარდაჭერა	სხვადასხვა სპორტული სფეროს წარმომადგენლების მიერ ინიცირებული სპორტული ღონისძიებების/ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	10 000
2	სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	ოლიმპიადა ტარდება თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით სპორტის სხვადასხვა სახეობებში	წლის განმავლობაში	8 000
3	სპორტული ოლიმპიადა „იცხოვრე სპორტით“	ოლიმპიადა ითვალისწინებს ქალაქ თელავსა და თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში სამოყვარულო გუნდების ჩამოყალიბებას და მათი მონაწილეობით სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებას	წლის განმავლობაში	7 000
4	„ოფროუდი“	ღონისძიება „ოფროუდი“ გულიხსმობს რთულ რელიეფზე ავტომანქანებით რბოლას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ექსტრემალური სპორტის მოყვარულები მთელი საქართველოს მასშტაბით. ღონისძიების მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში სპორტული ტურიზმის პოპულარიზაცია და სპორტის ამ სახეობის განვითარება	წლის განმავლობაში	20 000

5	ახალგაზრდული პროექტები/ინიციატივები	სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტებისა და ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	10 000
6	რა? სად? როდის?	პროექტი წარმოადგენს ინტელექტუალურ თამაშს და ტარდება თელავის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლის მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს შორის	წლის განმავლობაში	6 000
7	ექსკურსია-ბანაკი	თელავის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოციალურად დაუცველ ან/და გაჭირვებულ, მოწყვლად ოჯახებში მცხოვრები მოზარდებისა და წარმატებული მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის მოეწყობა საგანმანათლებლო-წამახალისებელი ხასიათის ექსკურსია-ბანაკი	წლის განმავლობაში	41 000
8	სამაგიდო თამაშების კლუბი	კლუბის დაფინანსება მიზნად ისახავს სამაგიდო თამაშების შესწავლისა და შემეცნებით-კრეატიული, სტრატეგიული აზროვნების გავრცელების ხელშეწყობას თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში	წლის განმავლობაში	13 000
9	„ეტალონი“	საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონის“ ფარგლებში, თელავის ეტალონი მოსწავლის გამოსავლენად ინტელექტუალური კონკურსის გამართვის უზრუნველყოფა	ოქტომბერი	4 000
10	ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა	შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც მოხდება წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება	დეკემბერი	4 000
	მთლიანი ბიუჯეტი			123 000